№ 270. ხუთშაბათი, 31 ივლისი 1896–1897 ხუთშაბათი, 31 ივლისი, № 270.

რედაქცია:
ტფილისი, ფრეილინის ქუჩა, № 13.
ლის მომწერნი გაზეთის დასაკვეთად მიჰმართვენ ედაქციას დილის 10 საათიდან 3 საათამდე და ლამოს 6—7 საათამდე და „წერა-კითხვის გამავ.
ლმოუწერავ წერილებს რედაქცია არ ჰბეჭდავს.
რისპირ მოლაპარაკება რედაქტორთან შეიძლება ყოველდღე.
ტელეფონი № 363.

ცნობის ფურცელი

ყოველ-დღიური სახალხო გამოცემა

გაზეთის ფასი
ერთის წლით **6** მან., ნახევარის წლით **4** მან.
თითო ნომერი **3** კაპეიკი
ფასი განცხადებისა
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე 10 კაპ., მეოთხეზე 5 კაპ.
Редакція
„Цнобисъ Пурцели“
Тифлисъ, Фрейлинская № 13.
Телефонъ № 363.

ხელისმომწერთა
საყურადღებოდ

ვისაც ხვედრი ფული (შედაგათიანი) არ შემოუტანია,

გაზეთის გზავნა
მოესპობა

* * *

პირველ აგვისტოდან
გაზეთი
«ცნობის ფურცელი»
საქართველოს კალენდრით
ღირს სამი მან.

ილია დემეტრაშვილის
საპარიკმახერო

სასახლის ქუჩა, თავად-აზნაურთა ქარვასლა

გავმართე ახალი საპარიკმახერო, სადაც ყოველ დღე მსურველთ შეუძლიანთ გაიკრიჭონ და გაიპარსონ.

სისუფთავე და სიწმინდე საგანგებოა
ხელოსნები დახელოვნებულნი არიან პარსვა-კრეჭაში
თავის დაბანვა სუნნელოვანის წყლით
იქვე რეცხენ ხელთათმანებს
!!ფასი ყველაფერზე იაფია!!

НОВАЯ ПАРИКМАХЕРСКАЯ
И. Деметрашвили
Дворцовая, д. Грузинск. Дворянства.
(15—1) საზოგადოების პატივისმცემელი ი. დემეტრაშვილი.



Торговый Домъ
С. П. ПАВЛОВЪ.
Тиф. Лорисъ-Меликовская № 6
Телефонъ 349.

Торговый Домъ
С. П. ПАВЛОВЪ.
Тиф. Лорисъ-Меликовская № 6
Телефонъ 349.

სავაჭრო სახლი
ს. პ. პავლოვი და კ.

ტფილისი, ლორის-მელიქოვის ქ., № 6, სასულიერო სემინარიის პირდაპირ.
მთელს ქვეყნიერობაზე განთქმული და საუკეთესო

საკერავი მაშინები

ხელით სატრიალებელი 22 მან. 40 მანეთამდე,
ფეხით სატრიალებელი ყოველ გვარ საქმობისათვის ადვილი და მსუბუქად დასატრიალებელი.
მაშინების სიკეთეს **სამის წლით** თავდებად ვუდგებით.
ფასის შემოტანა შეიძლება **ნაწილ-ნაწილად.**
(100—69 წ.)

დაიბეჭდა და იყიდება ყველა წიგნის მაღაზიებში
მ. ლალიძის გამოცემული
ახალი თხზულება-პოემა **აკაკისა**

ნათელა

(ძველებური ამბავი)
წიგნი დაბეჭდილია მშვენიერს ქაღალდზე, შეიცავს 72 გვერდს.
ფასი თითო აბაზი.

ვინც ას წიგნს ერთათ ნაღდ ფულზე იყიდის გამომცემლისაგან ქუთაისში, დაეთმობა 20%. მსურველთ ფასს დადებითაც გაეგზავნებათ. (50—6)

გამოვიდა და იყიდება
წ. კ. გ. საზოგადოების და ქართველთა ამხანაგობის მაღაზიებში

გლეხი-კაცის ისტორია

ერკმან შატრიანისა
თარგმანი ფრანგულით **ივ. მაჭავარიანისა**
ფასი სამი აბაზი
კარგს ქაღალდზე ხუთმეტი შაური
წიგნის მაღაზიებს ჩვეულებრივად დაეთმობათ. (20—1)

თავ. დიმიტრი მაჭუტაძის და თეიმურაზ ჩაჩავას

ხე-ტყის ქარხანა

კოდორი (სოხუმის ოლქში)

ქარხანა ღებულობს ყოველგვარ შეკვეთას დახერხილ ხე-ტყის მასალებისას. ქარხანაში გამართულია სახერხი მანქანები და სხვა-და-სხვა მოწყობილობა ამ საქმისათვის.

ერთად-ერთი ქარხანაა მთელს კავკასიაში, რომელიც ამზადებს
წაბლის ფიცრებს
ყოველგვარ ზომისას, 3 არშინიდან მოყოლებული 12-მდე და აგრეთვე სხვა-და-სხვა სისქისა და განისა.

* * * ფასი მასალებისა მეტად იაფია * * *

უმთავრესი საწყობი ქარხნისა ქ. ბათომში.
მსურველთ შეუძლიანთ ქარხანას მიჰმართონ შემდეგის ადრესით:
ოჩემჩირეში თეიმურაზ ჩაჩავას, ბათომში თავ. დიმიტრი მაჭუტაძეს.
ფოსტის ადრესი: *Батумъ, кн. Дим. Мачутадзе*, ანუ *Очемчиры, Т. Чачава.*
ЛѢСОПИЛЬНЫЙ ЗАВОДЪ кн. Д. Мачутадзе и Т. Чачава.
Кодоры (Сухум. окр.)
Главный складъ въ Батумѣ. (300—150)

პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათმდე, ვისაც სჭირს: სნეულებანი საქირურგიო, ვენერიული (სიფილისი) და შინაგანი.

ე. მ. ჩიქოვანი, 9—10 საათ. სნეულებანი: შინაგანი, თვალისა და ნერვებისა.

ჯ. ი. ბაბანასიანცი, დილის 11—12 საათ. ქალთა სენით და ბავშვების ავადმყოფებს.

ა. ზ. კარაპეტიანცი. 1—1½ ს. შინაგანი და ბავშვებისა.

ა. გ. გურკო. დღით 1½—2½ ს. შინაგანი, ყურის, ყელის და საშარდეს ავადმყოფობის.

საღამოობით

ა. მ. პუდინოვი. 6—7 საათ. შინაგან, ბავშვებისა და ნერვებისა.

ტ. ი. რუდენკო—სამკურნალოში გამოიკვლევს ქიმიურად და მიკროსკოპიულად შარს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა—დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი, დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница *Д-ра Навасардіана*
Ткфлисъ, противъ памятн. Ворнцову.

სამკურნალო და ამბულატორია

ს. ბ. თოფურიასი

ქუთაისში

სამკურნალოში 40 საწოლია ავადმყოფთათვის. მიიღებიან ავადმყოფნი: **შინაგანისა, ნერვების, საქირურგო, თვალისა და დედათა ავადმყოფობისანი.**

გადამდებ სენით ავადმყოფნი არ მიიღებიან.

ავადმყოფთ სინჯავენ დილის 11 საათიდგან ნაშუადღევის 3 სათამდე. შინაგან და ნერვების ავადმყოფობას სწამლობს **ს. ბ. თოფურია.**

საქირურგიო ავადმყოფობას და სიფილისს **ფ. ქ. გერრატი.**

დედათა ავად მყოფობას მკურნალი ქალი **მ. თ. კოგანი.**

თვალების ავადმყოფობას—**ი. ქ. ვარშავსკი.**

ამბულატორიაში არის კაბინეტი, საქიმიო და საბაქტერიოლოგიო გამოკვლევისათვის, ელექტრონით წამლობისთვის და მასაჟისთვის.

სამკურნალოს დირექტორი **ს. ბ თოფურია**
Лѣчебница *С. В. Топурія* въ Кутаисѣ.

დეპეშები

გაზეთ „ცნობის ფურცლისა“
«რუსეთის სატელეგრაფო სააგენტოსაგან.»

29 ივლისი.

სტამბოლი. ოფიციალურად. ბოლგარიის თავადი მოვიდა აქ, რომ სულთანს პატივი სცეს და ერთგულება გაამოუცხადოს. თავადი აქ ორ დღეს დაჰყოფს.

სტამბოლი. გუშინდელს კრებაზედ თოფხანეში ელჩებმა აუწყეს გარეშე საქმეთა მინისტრს იმ დათმობის შესახებ, რომელიც თესალიის ევაკუაციას შეეხება. დღეს ამ საქმის შესახებ მინისტრთ ბჭობა ექნებათ. თუ ეს საქმე გადასწყდა, შემდეგი კრება სამშაბათს მოხდება თოფხანეში.

მეორე ოსმალეთის საზღვაო დივიზია სმირნაში მოვიდა.

ლონდონი. „ტიმეს“-ს დეპეშით ატყობინებენ სტამბოლიდან, რომ თევფიქ-ფაშამ და ელჩებმა ახალი მუხლი შეიმუშავეს თესალიის ევაკუაციის შესახებ. თევფიქ-ფაშამ ეს ახლად შემუშავებული მუხლი წარუდგინა სულთანს, რომლის თანხმობასაც მოელიან. ახალი მუხლის ძალით, სამხედრო ჯილდოს პირველი გადასახადის გასტუმრება უნდა მოხდეს პირველ-დაწყებითი ზავის დადების შემდეგ.

სტამბოლი. პორტას ატყობინებენ, რომ შეიარაღებული სომხები სპარსეთის საზღვარს გადმოდიანო. იმათსა და ქურთებს შორის შეტაკებაა. ელჩებს ამის შესახებ ჯერ არაფერი უცნობებიათ.

მადრიდი. პროვინციიდგან იუწყებიან, რომ ხალხი საშინლად აღელვებულია კანოვასის მოკვლის გამო. ბარცელონის პოლიციის უფროსს სურათი აქვს მკვლელისა, რომელიც სტამბაში ასოთ-ამწყობად იყო. ჰფიქრობენ, რომ მკვლელის ნამდვილი სახელი ხოზე სანტოა. იგი აქტიურ ანარხისტად არის ცნობილი.

მადრიდი. ახალ-შენთა მინისტრი მივიდა საიტ-აგედში და კანოვასის მოკვლის შესახებ დაწვრილებითს ცნობებს იუწყება. დაჭრილი კანოვასი მიწაზე დაეცა და შუბლი იტკინა; მაშინვე გული შეუღონდა.

ქ-ნი კანოვასი, თოფის ხმაზედ, სახლიდგან გამოვიდა და მკვლელს წყევლა-კრულვით მიჰმართა. იმან უპასუხა: ,,მე თქვენ პატივსა გცემთ, იმიტომ, რომ პატიოსანი ქალი ბძანდებით, მაგრამ ჩემი მოვალეობა აღვასრულე და დამშვიდებული ვარ: „მე ჩემი ძმების სისხლი ვიძიე''.

29 ივლისი

პეტერბურგი. 28 ივლისს, საღამოზე მათი უდიდებულესობანი წარმოდგენებს დაესწრნენ ოლგინის კუნძულზე; წარმოდგენის შემდეგ წაბრძანდნენ ცარიცინის კუნძულზე.

29 ივლისს, დილის 10 საათზე, ხელმწიფე და გერმანეთის იმპერატორი მობრძანდნენ კრასნოე სელოში. გატჩინოს გზა-ტკეცილზე ვიბორგის პოლკის ჯარი ინახულეს გერმანეთის მეფემ თავის სახელის პოლკში ალლუმი მოახდინა, რის შემდეგ ჯარს და აფიცრობას მადლობა გადაუხადა რუსულ ენაზე. მას შემდეგ გერმანეთის იმპერატორმა პოლკი გაატარა ხელმწიფის წინაშე. ორმავე იმპერატორებმა დაათვალიერეს კავალერიის კორპუსი, რომელსაც უფროსობდა უავგუსტოესი გენერალ, ინსპექტორი. შემდეგ ამისა წაბრძანდნენ სამეფო კარავში და იქიდან ათვალიერებდნენ კავალერიის კორპუსის ალლუმს. ალლუმის შემდეგ გაიმართა უმაღლესი საუზმე. მესამე საათზე ორნივე იმპერატორნი წაბრძანდნენ პეტერგოფში.

ახალი ამბავი

⁂ **სამედიცინო დეპარტამენტის ცირკულიარი.** სამედიცინო დეპარტამენტმა აუწყა სახალხო განათლების დირექტორებს შემდეგი: საჭირო არის, თანახმად ახალის სამეცნიერო გამოკვლევისა, მიიღოთ ხოლმე შემდეგი ზომიერებანი, რათა გადამდები სენი არ გავრცელდეს ხოლმე მოწაფეთა შორის: ის მოწაფენი, რომელნიც ერთად სცხოვრობდნენ გადამდებ სენით ავადმყოფთან, აღარ უნდა მიუშვან სკოლაში 12—14 დღის განმავლობაში და სნეულსაც, რასაკვირველია, მოაშორონ. ხოლო თვით ავადმყოფნი მიიღებიან სკოლაში არა ადრე 6 კვირისა,—ხუნაგის შემდეგ; 4 კვირისა,—წითელის შემდეგ; 17 დღისა—შემდე„ ყვავილისა; 6—კვირისა შემდეგ ყივანა-ხველისა.

⁂ **საერთო ალლუმი.** ჯარების საერთო ალლუმი დაიწყება, ტფილისის მახლობლად, 14 აგვისტოს. სამზარეულო და სხვა ფარდულების აშენებას 5 აგვისტოს შეუდგებიან ვერის მინდორზე, ხოლო ჯარების დენა დაიწყება დანიშნულს ადგილზე 10 აგვისტოდამ. როგორც წინედაც გვქონდა ნათქვამი, ალლუმი გასტანს 15 ენკენისთვემდე.

⁂ **ქარვასლის ,,შკაფჩიკების'' ფრთის შეკვეცა.** ამ ჟამად პოლიცია ხელ-წერილებს ართმევს ქარვასლისა და „დახურულ ბაზრის“ მოვაჭრეთ, რომ მათ არ გაჰბედონ ხოლმე მყიდველების შეხმობ-შეტყუილება თავ-თავიანთ დუქანში და საზოგადოდ ყოველთვის წესიერად და ზრდილობიანად მოექცნენ ხოლმე მყიდველებს.

⁂ **განკარგულება მიწად-მოქმედების მინისტრისა.** როგორც გაზ. „ნოვოსტ“-ი გვატყობინებს, მიწად-მოქმედების მინისტრმა განკარგულება მოახდინა, რომ ყველა ის პირები, ვინც განგებ დაამახინჯებენ კავკასიის სამკურნალო წყაროების მდგომარეობას მიცემულნი იქმნებიან სამართალში.

⁂ **ნავთის წარმოება საქართველოში.** ამ ბოლო ხანში ნავთის წარმოებას მოემატა ერთი მდიდარი ნავთის ადგილი სად. სუფსას მახლობლად. ამ ადგილში ნავთის საწარმოებლად დაარსდა საამხანაგო საზოგადოება ინჟენერ გოლანდერის მეთაურობით 250 ათასი მანათის თანხით. გოლანდერი ამ ხანად პეტერბურგში იმყოფება და ცდილობს, მმართველობამ დაამტკიცოს ახალი ამხანაგობა ნავთის მწარმოებელთა.

⁂ **პეტერბურგის გამგეობის განკარგულება უპატრონო ძაღლების შესახებ.** პეტერბურგის გამგეობამ საყოველთაოდ გამოაცხადა თავისი დადგენილობა შესახებ მცხოვრებლების დაცვისა ძაღლებისაგან. დადგენილობით, არავის არ შეუძლიან ქუჩაში გამოიყვანოს ძაღლი უავშროდ, უსაყელოთ, რომელზედაც უნდა პატრონის ადრესი ეწეროს და ან უჯაჭვოთ. ვინც ამ პირობებს არ შეასრულებს, პასუხს აგებს სამართალში, ძაღლები იქმნებიან შვიდი დღის განმავლობაში დამწყვდეულნი და თუ პატრონმა არ მოიკითხა ამ ხანში, დახოცვენო. დამწყვდეული ძაღლების შესანახად პატრონმა დღეში მანათი უნდა იხადოს.

⁂ **ღერბის ახალი მარკები.** სახელმწიფო ქაღალდების მომამზადებელი ექსპედიცია შეუდგა ახალის ღერბის მარკების ბეჭდვას. შაურიანსა და ოთხ-აბაზიანს მარკებზე შეცვლილი იქმნება სურათი.

⁂ **სახელოსნო განყოფილება ყვარელის ორ-კლასიან სასწავლებელში.** ს. ყვარელის (თელავის მაზრა) ორ-კლასიან სასწავლებელში განზრახვა აქვთ დააარსონ სახელოსნო განყოფილებაც (ნოვ. ობოზრ.).

⁂ **სამრევლო-საეკლესიო სკოლებისათვის შემწეობა მთავრობის მიერ.** უწმინდესი სინოდი ატყობინებს მისს ყოვლად უსამღვდელოესობას ექზარხოსს ვლადიმერს, რომ საქართველოს ეპარქიის სამრევლო-საეკლესიო და წერა-კითხვის სკოლებისათვის გადადებულ იქმნა 4800 მან. და ეს ფული საქართველოს ეპარქიის სასკოლო საბჭოს განკარგულებაში იქმნებაო.

⁂ **ქალაქის გლეხთა ბეგარის შეცვლა.** 1898 წლის 1 იანვრიდამ ამიერ-კავკასიაში ქალაქის გლეხთ (**МѢЩАНИНЪ**) აღარ გარდახდებათ საკომლო გარდასახადი და ამის მაგიერ გაეწერებათ სახელმწიფო ბეგარა (აქნობამდე მხოლოდ ,,საერო გარდასახადი'' ხდებოდა მათ) ქალაქში მდებარე მათს უძრავს მამულზე. ამ გარდასახადს გაანაწილებენ ხოლმე სახლის მეპატრონეთაგან შემდგარი საგანგებო საბჭონი, საბეგრო ინსპექტორების თავმჯდომარეობით.

⁂ **პოლიციის საქმეთა არხივის განხილვა.** ბ. ტფილისის პოლიცმეისტრის მოადგილეს შუამდგომლობა აღუძრავს, რომ მიეცეს უფლება გაჰყიდოს საჯარო ვაჭრობით 130,000 ძველი საქმე, არხივიდამ ამოკრეფილი.

⁂ **ნიაღვრები ბათომში.** წარსულ შაბათს, კვირას და ორშაბათს შუადღემდე გადაუღებლადა წვიმდა ბათომში. მრავალი ქუჩა ისე გაივსო ნიაღვრით, რომ მათზედ მიმოსვლა შეუძლებელი იყო, სარდაფები გაივსნენ წყალით, სახლის პატრონებს ვერ შეეძლოთ ბაზარში გამოსვლა და სანოვაგეს ყიდვა ამ დღეებში. ისინი ისხდნენ კარში გამოუხედავათ. ნიაღვრის ასეთი გამწვავება ბრალია იმისი, რომ არც ერთი ქუჩა არ არის კარგათ დაპლანული და ოღრო-ჩოღრო ორმოები უთვალავია ბათომის ქუჩებზედ. არა აქვთ აგრეთვე არხები, სადაც შეიძლებოდეს ნიაღვრის ადვილად გასვლა. („Черн. Вѣст.‘‘).

⁂ **ავადმყოფთა რიცხვი კავკასიის სამკურნალო წყაროებზედ.** 19 ივლისამდე კავკასიის სამკურნალო წყაროებზედ მოსულ ავადმყოფთა რიცხვი 7,678 იყო. წარსულ წელს კი 6,903. წლევანდელი რიცხვი ავადმყოფებისა აღემატება შარშანდელს 885 სულით.

⁂ **მიწის საზომ სასწავლებლებში სტიპენდიების დანიშვნა.** მიწად-მოქმედების სამინისტროს სამთო დეპარტამენტმა გადასდო 12-ათასი მანათი 40 სტიპენდიის დასანიშნავად თითო 300 მანათიანი. მიწის საზომ ხუთ სასწავლებელში, მათ შორის 20 სტიპენდია ქ. უფაში და 15—ტფილისში. სტიპენდიანტები მოვალენი არიან, სწავლის გათავების შემდეგ, ორ-ორი წელიწადი იმსახურონ ხსენებულ სამინისტროს გამგეობაში თითო იმ წელიწადში, რომლებშიც სტიპენდია ქონდათ დანიშნული.

⁂ **უწესოების და გარყვნილობის ბუნაგი.** ლორის-მელიქოვის ქუჩაზე, ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ, ბ-ნი ხელაძის სტამბის გვერდზე ერთი რაღაც სარდაფი სასადილოა გამართული, სადაც ისეთი უწესოებები ხდება ხოლმე, რომ სწორედ დაუჯერებელია ასეთ ადგილას და ასე აშკარად ყველას თვალ-წინ ხდებოდეს ყოველნაირი სისაძაგლე; აქ თავს იყრიან ყველა ზნეობა-გაფუჭებულნი და თავზე ხელ-აღებული უსაქმური ბიჭები და ქუჩის მაწანწალა ვაჟბატონები; ქაღალდის თამაშობა და სხვა მრავალი უწესოება გამუდმებული ამბავია აქა—ამას გარდა ბევრს სხვა ბოროტებას სჩადიან. საჭიროა, რომ ადგილობრივმა პოლიციამ დაუყოვნებლივ ყურადღება მიაქციოს ამ გარყვნილობის ბუნაგს და მით სამუდამოდ მოსპოს ყოველ-გვარი უწესოება, რაც ხსენებულ სარდაფში ხდება.

⁂ **ახალი წიგნები: „პოეტის ანდერძი“.** ჩვენ მივიღეთ ქუთაისიდგან პაწია წიგნაკი პოემა გოჩა ჯიხაიშელისა „პოეტის ანდერძი“, გამოცემული ფოცხვერიას და სტურუას მიერ. წიგნაკი შეიცავს ათს ბეჭდურ გვერდს და ღირს ერთი შაური. დაბეჭდილია „მეურნის“ რედაქციის სტამბაში.

ქართული ზმნების კლასიფიკაცია, შედგენილი არისტ. ქუთათელაძისაგან. ბ-ნი არ. ქუთათელაძე კარგა ხანია მუშაობს ქართულ გრამატიკის კვლევა-შემუშავებაზედ და სანაქებოთაც ასრულებს ამ მძიმე საქმეს. ამ ჟამად მისი ზმნების კლასიფიკაცია ფრიად საყურადღებო შრომას შეადგენს. ავტორს ეტყობა, რომ საგანი საფუძვლიანად აქვს შესწავლული, მარტივად და გასაგებად მოგვითხრობს სხვა-და-სხვა დროებზე: ნამყო გაგრძელებულზე, ნატყრით დახრაზე, აწმყოზე, ნაუსრულზე, მიმღეობა-ენებითზე და სხვ. წიგნში ჩართულია სქემა საზღვრებითი დახრისა. ავტორი გვპირდება ამ მოკლე ხანში ახალს შრომას—„ქართული ზმნების ლექსიკონს.“ წიგნი სუფთად არის გამოცემული და კარგ ქაღალდზეა დაბეჭდილი მაქსიმე შარაძის ამხ. სტამბაში, შეიცავს 45 გვერდს. სამწუხაროდ, წიგნზე ფასი არ არის აღნიშნული. არ ვიცით, ავტორის თუ სტამბის შეცდომაა ეს?

⁂ **ბათომი. ტბა-ჭაობისაგან შეწუხებული უბანი.** ქალაქის მეოთხე განყოფილებაში, „უსახელო ქუჩას-

საზაფხულო საპედაგოგიო კურსები ტფილისში.

(გაგრძელება)

სამეურნეო საგნების გაცნობა 26 ივლისს დამთავრდა. 28 ივლისს სასულიერო სემინარიაში, სადაც კურსებზე მოწვეულნი მასწავლებელნი ვაენი დღეიდან იმყოფებიან, სამოსწავლო ნაწილიდან ლექციები დაიწყო. ლექციის დაწყებამდისინ მათის ყოვლად უსამღვდელოესობის ეპისკოპოსის ალექსანდრეს თანადასწრებით საეპარქიო სამრევლო სკოლათა ზედამხედველმა ბ-ნმა ნ. გ. ტატიშვილმა კათედრიდგან წარმოსთქვა დაახლოვებით შემდეგი სიტყვა:

„ნებას მივცემ ჩემს თავს, მოგახსენოთ ორიოდე სიტყვა, რომელიც დიდი ხანია ჩემს გულში დამარხულია. უპირველესად ვალდებულად ვრაცხ ჩემს თავს განვუცხადო გულწრფელი მადლობა მათს ყოვლად უსამღვდელოესობას საქართველოს ეგზარხოსს ვლადიმერს არამც თუ მარტო ჩემის მხრივ, არამედ მთელის ეპარქიის მხრივ იმ ღვაწლისა და შრომისათვის, რომელიც მიუძღვის მათს ყოვლად უსამღვდელოესობას დღევანდელ საპედაგოგიო კურსების დაარსებაში. სხვას ვის შეეძლო თავს ედვა ჩვენზე ზრუნვა, თუ არა მათს ყოვლად უსამღვდელოესობას? მათის დახმარებით, უწმიდესმა სინოდმა საპედაგოგიო კურსების გახსნის ნებართვა მოგვცა და მანვე გვიწყალობა საჭირო ფული. მათი ყოვლად უსამღვდელოესობა მოიქცა ასე მიტომ, რომ გულით დარწმუნებული ბძანდება ჩვენს პედაგოგიურს ძალ-ღონეში. ვაი, ჩვენ თუ ვერ შევძელით და იმედი გავუცრუვეთ!.. ვამაყობ მით, რომ ყველა დაახლოვებულთა შორის მათს ყოვლად უსამღვდელოესობას უკეთესად ვიცნობ. თამამად შემიძლიან დავარწმუნო ყველა, რომ მათი ყოვლად უსამღვდელოესობა დღე და ღამ ფიქრობს, თუ რა ღონისძიება იხმარონ, რათა სწავლაც და მასწავლებელთა ყოფა-ცხოვრებაც კარგს ნიადაგზე დადგეს. გამოვტყდები და აშკარად აღვიარებ, რომ ჩვენ, ყველა მათი თანამშრომელნიც არა ვღალატობთ საქმეს, თუმცა მძიმედ, მაგრამ მკვიდრს ნაბიჯებს ვდგამთ წინ. დადგება ჟამი და უკვე მოახლოვებულიც არს, როცა სამრევლო სკოლები, მიუხედავად ათასგვარ მიზეზთა, ხალხის აუცილებელ საჭირო მოთხოვნილებად აღიარებულ იქნება. ვერც ერთი სკოლა ისე ვერ დააკმაყოფილებს ხალხის სწავლის წყურვილს, მისწრაფებას, როგორც სამრევლო სკოლა. სამრევლო სკოლის ხასიათი ხალხის სულიერს მოთხოვნილებასთან ძლიერ დაახლოვებულია. საქართველოში სცხოვრობს ათას-გვარი სხვა-და-სხვა ერი სხვა-და-სხვა სარწმუნოებისა. უმთავრესად სამრევლო სკოლის დანიშნულება აი სწორედ აქ არის. მან უნდა შეაერთოს ყველა ხალხოსნობა ერთად და ამიტომაც სამრევლო სკოლათა ღირსება დაუფასებლად ხდება. მასწავლებელნი მოვიწვიეთ სხვა-და-სხვა ჩვენგან დაშორებულ ადგილებიდან. მოწვეულ არიან ერევნის გუბერნიიდან და, ასე გასინჯეთ, თვით ყარსის ოლქიდანაც. მოვიწვიეთ ყველა მასწავლებელნი-კი არა, არამედ რჩეულნი. კურსების დედა-აზრია რჩეულთ, გარდა უფრო დახელოვნებისა, ერთმანერთის დახმარებით გამოარკვიონ ერთნაირი შეთანხმებით სწავლის მიმდინარეობა ყველა სამრევლო სკოლებში“.

სიტყვის შემდეგ ბ-ნმა ტატიშვილმა სალმრთო სჯულიდან ლექციის კითხვა დაიწყო. განსაკუთრებითი ყურადღება მიაქცია თანდათანობით-მიყოლებითს და შევსებით-დამხმარებელ (**совмѣстная система**) მეთოდებს. ბ-ნმა ტატიშვილმა თამამად უარ-ჰყო შევსებით-დამხმარებელი მეთოდი, რომლის მიხედვით შედგენილი და ხმარებულიც არის, როგორც საქართველოს სახალხო სკოლებში, აგრეთვე შიდა რუსეთის უფრო სწავლა-განათლებაში დახელოვნებულ სკოლებში, სოკოლოვის სალმრთო ისტორიის წიგნი. ჩინებულ მეთოდად აღიარებულ იქმნა თანდათანობით-მიყოლებითი (**поступательная система**). ამ მეთოდით შედგენილი სახელმძღვანელო მარტო სამ-ოთხ კლასიან სკოლებშია. საჭიროდ არა ვრაცხთ მოვიყვანოთ ყველა ის თვალ-საჩინო და მეთოდთან დიდი კავშირის მქონე მიზეზნი, რაიც დასახელებულ იქმნენ. ჩვენ კვალში არ ჩავუდგებით, მხოლოდ გვიკვირს, როგორ მოხდა, რომ ყველა სახალხო სასწავლებლიდან გამოძევებულს სმირნოვის სახელმძღვანელოს ჩვენ უკანვე ვიბრუნებთ.

შემდეგი ლექცია წაიკითხა რუსულ ლიტერატურის სემინარიის მასწავლებელმა ბ-ნმა ა. პ. ალბოვმა სლავიანურ ენის სწავლებაზე. საკვირველია ბ-ნ ლექტორის სიტყვები. საეპარქიო საბჭოს გადაწყვეტილი აქვს ,,საეკკლესიო სლავიანურ ენის სწავლება ვალდებულ არ იქმნას ქართულ სამრევლო სკოლებში'', ბ-ნი ლექტორი-კი ბძანებდა: ,,საეკკლესიო სლავიანურ ენას სამრევლო სკოლებში (საქართველოში?) სალმრთო სჯულის შემდეგ მეორე ადგილი უჭირავსო. იგი ცალკე საგნად ითვ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თან“ მდებარეობს სამიოდე დესიატინა ქალაქის ადგილი; ეს ადგილი იმდენად დაბალია, რომ სხვა უფრო მაღლობ ადგილებიდამ წვიმის დროს აქ იყრის თავს წყალი და, რადგან გასავალი აღარსაით აქვს, გუბდება, ტბად დგება; გამოიდარებს და მზე დააჭერს თუ არა, წყალი ლპება და საზიზღარს სუნს იძლევა. რა თქმა უნდა, ასეთს ადგილთან მეზობლობა მეტად მავნე და საშიშია და კიდეცა ვხედავთ საშინელს შედეგს. აქვე, ახლოს ოთხ მოსახლეს გვაქვს იჯარით აღებული მიწა, მოვეწყეთ შეძლებისადაგვარად და საკმაოდაც სუფთად და მშრალად გვიჭირავს ჩვენ-ჩვენი ნაჭერი მიწები, მაგრამ რა გამოვიდა, თუ-კი ზემო აღნიშნულის ტბის ამოშრობას არავინ გვაღირსებს. თქვენი მტერიც დაიფაროს ღმერთმა ისეთის გაჭირებისაგან, როგორშიაც ჩვენ ჩაგვაგდო ციებ-ცხლებამ ამ ტბის წყალობით.

ურიგო არ იქმნებოდა, რომ ქალაქის გამგეობა, ქალაქისავე მკვიდრთა ინტერესებისა და კეთილდღეობის დასაცველად, ჯეროვანს ზომებს მიიღებდეს და ამოაშრობდეს ხსენებულს ტბას ისე, როგორც ქალაქის სხვა ტბა-ჰაობები ამოაშრეს და გაასუფთავეს, მით უმეტეს, რომ ამისათვის დიდი ხარჯი არ იქმნება საჭირო: სულ ერთი ან ორი რიგიანი არხია საკმარისი, რომ წყალს გზა მისცენ.

მ. გ. რაზმაძე

⁂ **დაბა ყვირილა.** **უცხოელი ექიმა ქალი.** თითქმის ორი თვეა, რაც ჩვენს დაბას ეწვია ერთი უცხოელი ქალი, რომელმაც მთელს შორაპნის მაზრაში გაითქვა სახელი უშვილო ქალების ექიმობისა. ყველანი დაარწმუნა, რომ უშვილო ქალს მისი წამლობითა და წყალობით უეჭველად გაუჩნდება შვილიო. რა თქმა უნდა, დიდ-ძალი ხალხი ეხვევა და დღე ისე გაივლის, რომ ოცამდის ქალი არ მივიდეს მასთან წამლისა და დარიგების მისაღებად.

ჩვენ არ ვიცით, რამდენად სამართლიანია ამ უცხოელი ქალის საქციელი და ამიტომ ურიგო არ იქმნებოდა, რომ ადგილობრივი ადმინისტრაცია და განსაკუთრებით მაზრის ექიმი ჯეროვნად გამოიკვლევდეს, თუ ვინ არის ეს უცხოელი ქალი, რა უფლებითა და საქმის ცოდნით არის აღჭურვილი, ან მართლა შეუძლიან თუ არა შეასრულოს ის, რასაც იჩემება და კისრულობს, თუ.....

ეს ყოველივე აუცილებელი საჭიროა, რათა დროთი გაიგოს ხალხმა ვისთან აქვს საქმე.

ნარი-ეკალი

⁂ **ს. ნიგოითი** (გურია). **უმართებულო ხარჯი.** ყველა მკითხველებმა იციან, რომ გლეხკაცებს ეხლა წლის ბილეთი სხვა ქვეყნებში წასასვლელი უფულოდ ეძლევა, მაგრამ ეს უმაღლესის მთავრობის შეწყნარება არ შეიწყნარა ჩვენმა მამასახლისმა და წინანდელს ნახევარს ფულს მაინც ახდევინებს ხალხს. ამ მეტ ხარჯს ხან ბეჭდის ფულს არქმევს და ხან სხვა რასმე ახალს სახელებს, მაგრამ ვინ არის პატრონი!

დღიური მუშა.

⁂ **ქ. სიღნაღი.** **თვით-მმართველობის „მოღვაწეობა“.** თუ რამდენად უქცევენ მხარს საზოგადო საქმეებს ქალაქის მეთაურები, მოვიყვან ამაზედ ორიოდე მაგალითს. შემდეგ ბევრის მეცადინეობისა ქალბატონის შ. და ბატონის ბ. დაარსდა სიღნაღში ქალების კერძო სასწავლებელი. ვიდრე დაარსდებოდა ეს სასწავლებელი, ე. ი. ამ ორი წლის წინ, სიღნაღელებმა დაადგინეს განჩინება, დაეარსებინათ სიღნაღში ქალების სასწავლებელი, მაგრამ ეს განჩინება თვით-მმართველობის შემოღების შემდეგ მიეცა დავიწყებას და ამიტომ ქალების კერძო სასწავლებლის გახსნა სიღნაღში შეადგენდა ერთ უმთავრესს მოთხოვნილებას მარტო სიღნაღისთვის კი არა, მთელს მაზრისთვისაც. აი ამიტომ ქალბატონ შ. და ბატონი ბ. ასე ერთგულად უვლიან ამ ნორჩ სასწავლებელს და ხმარობენ ყოველ ღონისძიებას, აღმოუჩინონ საშუალება, რომლითაც უნდა ისულდგმულოს მან. რამდენჯერმე მოაგონეს ქალაქის კეთილ მსურველებმა მეთაურებს, გადაეკეთებინათ ეს კერძო სასწავლებელი საზოგადო სასწავლებლად, ან კიდევ მისცემოდა ამ უკანასკნელს რაიმე შემწეობა ქალაქიდამ, მაგრამ პასუხად მიიღეს: „არა გვცალიან მაგისთვის, ფული არა გვაქვსო“; მაგრამ ეს ქალაქის მეთაურები ძალიან გულმოდგინეთ ცდილობენ მისცენ 800 მანეთი კერძო მკურნალს მ., რომლისთვისაც ვითომ ქალაქს აღუთქვამს ხოლერობას 1893 წელში. აი სად გამოიჩინეს მეთაურებმა გულმოდგინეობა. ბ. მ...მა საკმაოდ მიიღო თავის შრომის ფასი ხოლერობის დროს. სჯობია, თუ ქალაქს გამოერთმევა ეს ფული, მიეცეს ამ საქალებო სასწავლებელს, სადაც ისევ ამათი შვილები სწავლობენ.

გარდა ამისა, თვით-მმართველობამ შემოიღო მაისიდგანვე ბაჟი ურმებზე, ცხენებზე და ჯორებზე, რითაც ყოველ მხრიდან უზიდავენ სიღნაღს სუყველაფერს, აგრეთვე ყველა ოთხფეხა საკლავზე, რაც მოუდით სიღნაღში გასასყიდათ, საიდამაც დიდი ფული შესდგება, თუ კი წესიერად აწარმოებენ ამ საქმეს. აი ამ შემოსავლიდამაც, თუ თანაუგრძნობენ მეთაურები ქალაქის წარმატებას, შეუძლიანთ ცოტაოდენი გაუნაწილონ ამ სასწავლებელს.

თვით-მმართველობის შემოღებამდინ ქალაქის დეპუტატები პოლიციითურთ ერთად ადებდნენ ხოლმე ნიხრს ყველა სანოვაგეს და უცხადებდნენ არა გვიან პირველის თიბათვისა, ეხლა-კი თვით-მმართველობას ძლივს მოუგონია 18-ს თიბათვეს ახალი ნიხრის დადგენა, მხოლოდ სად არის აქამდინ ეს ნიხრი, არ ვიცით დღევანდლამდინ. ვაი საწყალი ხალხის ბრალი, რომ ტყავს აძრობენ მოვახშე-მოვაჭრეები, თორემ რა უჭირთ ან მოურავს და ან მის თანაშემწეს; ნიხრიც რომ არ იყოს, სულ იაფად მისდით ყველაფერი, ხმაც კი ვერ შეგვიძრახამს ყასპებისთვის, ძვირად რათ ჰყიდით ხორცსაო, მაშინვე ცულს გადაგდებენ, წადით და თქვენ დახოცეთ საკლავებიო. მივალთ საჩივლელად პოლიციასთან, გვიპასუხებს მოურავი გვეჩხუბება, ჩვენს საქმეში ნუ ერევითო და აბა რა ვქნათ, რა სამართალი მოგცეთო: აი აქ შეიძლება ითქვას: აქლემები წაიკიდნენ და კოზაკი შუაში გაჭყლიტესო, პოლიციის და თვით-მმართველობის ჩხუბში ჩვენ სული ამოგვძვრება შიმშილით.

აბა რაღა მოგახსენოთ ქალაქის დანარჩენ საჭიროებაზე. მის სისუფთავეზე, განათებაზე და სხვა წესრიგის დაცვაზე, ყველაფერში ეკონომიას ეწევა თვით-მმართველობა. თავ-პირს რომ გამტვრევდნენ ქუჩაში და ყვირილით გაიპო შუაზე, არსად გამოჩნდება პოლიციელი და ან საიდამ გაიგონებს ყვირილს, როდესაც იშვიათად არიან ქუჩებზე. აი ამითი სარგებლობენ ჩვენი მტაცებელი ჩარჩები, კინტოები, რომლებიც არამც თუ სტაცებენ ხელიდამ ვისაც რა მოუტანია გასასყიდათ— დიდ უკადრისობასაც აყენებენ და ისე ისტუმრებენ.

—ამ მოკლე ხანში, სხვათა შორის, მოხდა ერთი საყურადღებო ამბავი. ერთს გლეხს მოჰქონდა ბაზარში გასასყიდათ ყველი, ბაზრის თავში თავშივე დაუხვა წინ პირველი მედუქნე, ჩამოართვა ჯერ ხელი, მოიკითხა, როგორც იციან აქაურმა მძარცვავებმა, და მერე უთხრა: სხვაგან რიღასთვის მიგაქვს, მეგობარო, ყველი, მოიტა, მე ვიყიდი, ფასსაც მაზანდაზე მეტს მოგცემო: გლეხმაც უარი არ უთხრა; მედუქნემ აწონა ყველი და მისცა ფასი და ორი თუმანიც სხვა; წინათვე დაიკვეთა, რაც ყველი ჰქონდა იმ გლეხს სახლში, ისიც უნდა იმისთვის მიეტანა; გლეხმა არაფერი იცოდა სასწორისა და რამდენი გამოვიდა ყველი წონით, ვერ შეატყო; გლეხს გაუხარდა, რომ ორი თუმანი სხვა მიიღო და ბევრი წვალება და დრო აღარ მოუნდებოდა დანარჩენ ყველის გაყიდვაში, რომ პირდაპირ მიუტანდა მედუქნეს; მაგრამ ის კი არ იცოდა, რამდენად ატყუებდა მედუქნე წონაში.

ამ ვაჭრობის და ყველის აწონის დროს ყურს უგდებდა მეორე მოპირდაპირე მედუქნე. მეორე დღეს გლეხმა პირდაპირ თავის მეგობარს მედუქნეს კიდევ მიუტანა ყველი. მედუქნემ აწონა და ყველი გამოვიდა ოთხი ფუთი და 33 გირვანქა; გლეხს კი უთხრა—სრული ოთხი ფუთიაო, ამნაირათვე მოატყუა წინა დღეს. როცა გლეხი წამოვიდა, დაედევნა უკან მეორე მოქიშპე მედუქნე და ეუბნება გლეხს:—შე ოხერო, რაზე იღუპები, ფუთზე მეტი მოგატყუა წონაში გუშინ და დღეს. გლეხი ეუბნება „დემეხსენ შვილო, მე ის არ მომატყუებს, ჩემი მეგობარია, შენ ჯავრი მოგდის, რომ შენ არ მოგყიდეო,—ვა, ერთი ამ ტუტუცს შეხედეთ, ჩემი მეგობარიაო“ ჭკვას მოდი და, რადროს მეგობრობაა, მაშ მოდი ღოთიანად სანაძლეო დავდოთ თითო თუმანი (იღებს თუმანს), წავიდეთ პრისტავთან, ავწონოთ ყველი და მაშინ გაიგებ სიმართლესო“ გლეხს ჯავრი მოუვიდა და იმანაც ამოიღო თუმანი და მიაბარეს სხვას. როდესაც პოლიციის პრისტავმა გამოატანინა მეიდანზე ყველი და აწონეს, გამოვიდა ნაღდი ყველი 4 ფუთი და 33 გირვანქა, მედუქნემ კი მოატყუა, სულ ოთხი ფუთიაო. ამნაირად სანაძლეო მოიგო მედუქნემ. ძალიან დაღონდა გლეხი, მაგრამ როდესაც პრისტავმა გამოუცხადა გლეხს, ის ყველი თავის სასარგებლოდ გაეყიდნა და იმ მძარცვავი მედუქნისათვის აღარ მიეტანა და ორი თუმანიც აღარ მიეცა, გაუხარდა და მადლობა გადაუხადა პრისტავსაც და მონაძლევე მედუქნესაც. ამნაირი მაგალითი ბევრი ხდება ჩვენს სიღნაღში.

სტვირი.

⁂ **დ. ახალ-სენაკი.** **დეპუტატების დაუდევრობა და დაბის უკან ჩამორჩენა.** ყველამ უწყის, რომ დ. ახალ-სენაკი შუაგული ადგილია მთელს სამეგრელოში. აქ არის რკინის გზა და სხვა დაწესებულებანი, რომელნიც ხელს უნდა უწყობდნენ დაბის ყოველ მხრივ ზრდასა და წარმატებას, მაგრამ, საუბედუროდ, წარმატება და წინ მსვლელობა თითქმის არაფერში ეტყობა დაბას. ეკონომიურის მხრივ იგი ძლიერ დაქვეითებულია: არსებობის ძალა გამოლევია და ძარღვებში სისხლი ოდნავ მოძრაობს. დავჩუმდეთ ჯერ აქაურ რამე-რუმეზედ და ცოტათი მაინც შევეხოთ აქაურების ეკონომიურ მდგომარეობას. ვიკითხოთ: რა მოუბრუნებს სულს იმ ხალხს, რომლის ნაწარმოებს ბაზარი არა აქვს, რომლის ბედ-იღბალი ჩარჩ-ბერძნების ხელშია; ოფლით მორწყულს მოსავალს იგივე გაიძვერა ვაჭრები განაგებენ? თუმცაღა ს. ძველ-სენაკში

ლება, ამიტომაც განსაკუთრებითი ყურადღებით უნდა ეკიდებოდეთ, ქ-ნო და ბ-ნო მასწავლებელნო! მისი სწავლება უნდა დაიწყოთ, თუ პირველადვე არა, იანვრიდან მაინც უსათუოდ“. ჯერ რუსულ სკოლებშიაც ძლივს იწყებენ იანვრიდან, სადაც სლავიანური მათს დედა-ენას შეადგენს და ჩვენში, სადაც ბავშვმა სამ-ოთხ თვეში ორი ენა უნდა გაიცნოს, როგორ უნდა შეითვისოს მესამეც, სრულებით განსხვავებული რუსულ ენიდან? ნუ თუ ეს შეწყნარებულ იქნება საპედაგოგიო მეცნიერებაში? თუ სწავლის ნიადაგი ასეთი იქნება, აქ გლეხის გამტყუნება,—რატომ შვილს არა ჰგზავნის სკოლაში, როდესაც თვით შვილივე გაურბის,—ყოვლად შეუძლებელია...

სალამოს ხუთ საათზედ წაკითხულ იქმნა ლექციები ქართულ და რუსულ გალობებიდგან. ქართულ გალობას განაგებს მღ. ვ. კარბელაშვილი, რუსულს მღ. ი. მიხაილოვსკი. ქართულ გალობაში დანიშნულია 20 გაკვეთილი, რუსულში 25. ჩვენმა მასწავლებლებმა შედარებით ქართულ გალობასთან რუსული გალობა უფრო იციან, მაშასადამე სიმართლე მოითხოვს ქართულ გალობას უფრო მომეტებული გაკვეთილები ეთმობოდეს, ვიდრე რუსულს.

მღ. ვ. კარბელაშვილმა მიჰმართა მასწავლებელთ სიტყვით, რომელშიაც დაწვრილებით და საბუთიანად განმარტა ქართული საეკლესიო საგალობელთა ისტორია. განხილულ იქმნა მისი ღირსებანი და თვალ-საჩინო გარჩევა ევროპიულ საეკლესიო საგალობელთაგან. ბევრი საყურადღებო ცნობანი გაუზიარა მღ. ვ. კარბელაშვილმა მასწავლებელთ, ჩვენ ვაპირებდით მათ მოყვანას, მაგრამ მ. კარბელაშვილმა ბრძანა მოკლე მომავალში ჩვენ თვითონ ვეცდებით დავბეჭდოთო. თუმცა ასე ბრძანა მ. კარბელაშვილმა, მაგრამ გული მაინც არ გვიძლებს, რომ ორიოდე შესანიშნავი ცნობები მაინც არ მოვიყვანოთ. საქართველოში სიმღერა შემოღებულია ძველის-ძველთაგან. როდესაც ნაბუქოდონოსორმა დაანგრია ებრაელთა სამეფო და განფანტა იგინი, მაშინ ზოგნი ებრაელნი ჩვენშიაც გადმოვიდნენ. ჩვენები, პურ-მარილით განთქმულნი, გულ-მტკივნეულად მიეგებნენ მათ, უჩვენეს კარგი გული, არაფერს არ იშურებდნენ მათთვის, ებრაელთაც შეიყვარეს ქართველნი, როგორც მათი კეთილის მყოფნი, მიენდვნენ მათ გულითა და სულით, განუზიარეს ყველა ის ცოდნა და გამოცდილება, რაც იმათ მოეძეობოდათ. რა თქმა უნდა, სხვა ცოდნასთან ერთად ებრაელნი სიმღერების კილოსაც გადასცემდნენ (ებრაელნი დაწყებულ კაენის საგვარეულოდგან შესანიშნავი მუსიკალური ხალხი იყო, თურმე.) ამ სიმღერებს ჩვენი წინაპარნი თავიანთ კერპთ უმღერდნენ, ქრისტიანობის გავრცელების შემდეგ იმავე გალობის კილოს მოუწერეს ქრისტიანული საეკლესიო საგალობელი სიტყვანი და უგალობებდნენ ქრისტეს. ასეთ საგალობელთ ხშირად შევხვდებით მეცხრე საუკუნის ხელთ-ნაწერებში. ადვილი შესაძლებელია, ეს ხელთ-ნაწერნი გადმოწერილნი იყვნენ წინა საუკუნის დედნიდგან, მით უმეტეს, რომ უწინდელ ხელთ-ნაწერებში არ იყო მიღებული რისამე ჩამატება ან დაკლება. ყველა ზემოხსენებული საბუთები თვალ-საჩინოდ გვიხატავენ ქართულ საეკლესიო გალობათა კილოს სიძველეს. უწინ ქართული საეკლესიო საგალობელნი ათ, რვა, ექვს ხუთ ხმებზედ სრულდებოდნენ და არა ოთხ ხმაზედ, როგორც ზოგიერთნი დღეს სჩადიან და საგალობელთ გვირყვნიან. თვალ-საჩინო განსხვავება ჩვენ საეკლესიო საგალობელთა ევროპიულ საეკლესიო საგალობელთაგან მდგომარეობს ეგრედ წოდებული სამ-ხმოვანობა (три тоніе), რომელიც მღ. ვ. კარბელაშვილისაგან დაწვრილებით იყო ახსნილი, თუ რას ნიშნავს ეს ტეხნიკური სიტყვა. დასასრულ ბრძანა: „გალობას დიდი კავშირი აქვს ხალხის კეთილ-ზნეობასთან· თუ გინდათ ხალხმა ეკლესიაში იაროს, გალობა უსათუოდ უნდა გაუმჯობესდეს. დღეს ხალხი ეკლესიას უფრთხის სწორედ იმიტომ, რომ მღვდლისა და დიაკვნისა არაფერი არ ისმის, ტყუილად-კი არ იცის ჩვენმა გლეხმა, „საყდარში რა მინდა, მღვდლისა არა ისმის-რა და დიაკვნისა; ღმერთს ვერხვ ქვეშ-კი ვერ შევეხვეწებიო“. გალობა გულ-სულის ჩამდგმელია ხალხისა, თუ გალობა აღსდგება, ხალხიც აღსდგება, თუ ყურადღებას არვ მივაქცევთ, ნურც ხალხის გამობრუნების იმედი გვაქვს. უწინ ჩვენ მტერთ ჩვენი წინაპარნი ბევრთ ცუდ დღეს აყრიდნენ, ხშირად მცირეოდენ მეომართა რიცხვს უთვალავი მოპირ-და-პირე ჯარი გაუქცევია. მიზეზი აქ სარწმუნოებაა. ჩვენი ხალხი მამულისა და სარწმუნოებისათვის იბრძოდა. სარწმუნოება ეღვიძებოდა კიდევ მით, რომ თითქმის ყველამ ზეპირად იცოდა საეკლესიო საგალობელნი. თუ ისტორია ამას გვიმტკიცებს, მაშ მოვკიდოთ გულ-მოდგინეთ ხელი ამ უკან ჩამორჩენილ საქმეს და თუმცა მოკლე დრო გვაქვს, მაგრამ, ღვთის იმედით, კიდევ გავაკეთებთ რასმე“!...

მ—შვილი.

დაარსდა „შუამავალი“, მაგრამ ეს ჩვენთვის არც ისეთი ხელსაყრელია, არც ისეთი ხელის-ხელ საგოგმანო მარგალიტია, რომ მისი იმედით ვიცხოვროთ. ჩვენთვის აუცილებელია ასეთივე „შუამავალი“, საჭიროა დაინიშნოს ბაზრობა, რომ მით ბეჩავი ხალხის ნაწარმოებს გზა-ბაზარი მიეცეს. სამეგრელოს თითქმის ყველა დაბა სოფლებშია დანიშნული საბაზრო დღეები, მხოლოდ ახალ-სენაკია უკან ჩამორჩენილი. აი მაგ: დ. ხობში «იარმუკობა‘‘ან ბაზრობა იწყება 10 და გასტანს 17 აგვისტომდე; დ. აბაშაში 1-10 სეკტემბრამდე; ს. ძველ-სენაკში 3-18 აგვისტომდე, აქვე არის ბაზრობა: ხარების ბზობას, კვირაცხოვლობას და ამაღლებას. აგრეთვე ამ ერთი თვის წინედ მთავრობას დაუნიშნავს ბაზრობა ს. სუჯუნაში 7-15 ივლისამდე და საბაზრო დღედ—ყველა კვირა დღეც. ახლა ვიკითხოთ: ახალ-სენაკმა რა დააშავა? ამისი პასუხი მხოლოდ ერთია: სენაკელები სალაღას ძილს მისცემიან. თუ არ ამ პასუხით, მაშ რით აიხსნება ისა, რომ ს. სუჯუნამ კი და სენაკმა ვერ შეიძლო, რომ დაენიშნებინათ მისთვის საბაზრო დღეები? მაგრამ... რას ვამბობთ? ყველა საქმეს გაძღოლა უნდა და მეთაურ კაცებს და კეთილი საქმის გულ—შემატკივარს სენაკში დიოგენის ფარნითაც ვერ მოძებნით. ეს რომ ასე არ იყოს—სად არიან ჩვენი ,,დეპუტატები‘‘, ჩვენი დაბის მამები‘‘? აქ ბრძანდებიან, ბატონებო, აქა,-და თან არხეინად დასეირნობენ. როცა-კი რომელსამე გაზეთში შემთხვევით ამოიკითხავენ სენაკის შესახებ რამე შენიშვნას, მაშინ კი დაღვრემილს, მრისხანე სახეს მიიღებენ, ასე ჰგონიათ ,,ვასტოჩნი ვოპროსი‘‘ მაგათ აწევთ კისერზედო. საკვირველია, რისთვის და რატომ არ გრძნობს ასეთი ,,მამების‘‘ დაუდევრობას სენაკელი საზოგადოება? ნაცვლად იმისა, რომ დაბის საკეთილდღეოდ იზრუნონ, პირადი ინტერესები საზოგადოს ანაცვალონ, აქაურები ქიშპობას და ინტრიგებს ემსახურებიან. ასე წარმოიდგინეთ, რომ უბრალო და გონებიანი უბადრუკი მწერალ-მოხელეც მრისხანედ და ბრძანებითი კილოთი გაიძახის- ‘‘я (?) тебя сей часъ арестую‘‘!.

თუ რა ზომამდე ხშირი მოვლენაა აქაურებთა შორის პირადი ინტერესები, ამაზედ ცხადად ღაღადებენ შემდეგი მაგალითები: ეს ორი წელიწადია, რაც აქ ასტყდა ლაპარაკი საყანთროს (სახწორი) გადატანაზედ. სწორედ რომ აქ იჩინა თავი პირადობამ და ქიშპობამ. მთელი სენაკი ორ დასად გაიყო, საქმე ძალზედ გამწვავდა და ვინ იცის შედეგიც რა ნაირი მოჰყვებოდა, რომ უმაღლესი მთავრობის განკარგულება არ მოსულიყო.

არ შევცდები, თუ ვიტყვი, რომ ამ დასებში თვალ-საჩინო ადგილი ეჭირათ და მხურვალე მონაწილეობას იღებდნენ ჩვენი მეთაურნი და დაბის „მამებიც‘‘. ვერ გაგვიგია, რა ხელი ჰქონდა პირადობას იქ, სადაც საქმე საზოგადო ხასიათისაა?!. ქიშპობამვე დაკეტა აქაური „კლუბი“, დაუდევრობითაა, რომ დღესაც ზეწვის ხიდზედ აქვს გასავლელი ჩვენი სასულიერო სასწავლებლის ბედ-იღბალს, რომლის თავი და ბოლო უნდა გარდაწყდეს ამ მოკლე ხანში სამღვდელოების კრებაზედ. აბა ვნახოთ, ჩვენი მეთაურები ეხლა მაინც თუ გამოიჩენენ რამე უნარს. სავაივაგლახოა, სენაკელებო, რომ სოფლებმა (მარტვილმა და ძველ-სენაკმა) გაგიწიონ კონკურეცია სასწავლებლის შესახებ!

ახლა გადავიდეთ ისევ „მამებ-დეპუტატების“ მოქმედებაზედ, მაგრამ.... მოქმედება არა სჩანს, დარჩა მარტო მშრალი სიტყვა, რომლის იმედით ფონს ვერ გავალთ, ან დ რისი იმედი უნდა გვქონდეს, როდესაც უბრალო საბაზრო დღეების დაარსებაცკი ვერ მოუხერხებიათ ჩვენს დეპუტატებს და მეთაურებს?

გვიკვირს და ვერ გაგვიგია, რატომ აქაური ადმინისტრაცია ცოტათი მაინც არ მიაქცევენ იმათ ყურადღებას და არ დააყენებენ წარმატების და კეთილ-დღეობის გზაზედ ჩვენს, ყველაფერს მოკლებულს, დაბას? ნუ თუ პირდაპირი მოვალეობა არაა ადმინისტრაციისა, იზრუნოს საკეთილ-დღეოდ იმ დაბისა, რომელიც მას აბარია? თუ სუჯუნელები მიხვდნენ, რომ კეთილ-დღეობა სუჯუნისა და აღებ-მიცემა დამოკიდებულია ბაზრობაზედ და საბაზრო დღეების დაარსებაზედ, თუ კი სუჯუნელები, მიუხედავად ყოველ ჭირვარამისა, აღიჭურვნენ ამ სურვილით და კიდეც განახორციელეს იგი—რა დაემართა სენაკსა და სენაკელებს? ნუ თუ გგონიათ, რომ ადგილ-მდებარეობა ან სხვა რამე ხელს უშლიდეს სენაკს ამ საქმეში? არა, ბატონებო, უმთავრესი მიზეზი სენაკის უკან ჩამორჩენისა არი გულ ცივობა და დაუდევრობა მეთაურებისა და უფრო კი უყოლობა გულ-შემატკივარ კაცებისა.

როგორც ზემოთა ვსთქვით, ძველსენაკში დაარსდა „შუამავალი„ დ. ახალსენაკი კი ამითაც უკან ჩამორჩა. ,,შუამავალის‘‘ დაარსებაზედ არა ერთხელ დაწერილა ქართულ გაზეთებში (იხ. გაზ. „ცნობ. ფურც.‘‘ № 212 ბ, ტრიფონ კალანდარიშვილის წერილი), მაგრამ.... აინუნშიაც არ მოუვიდათ სენაკელებს. ვის არ აუტოკავდა გულს ზემოხსენებულ ავტორის წერილი, მაგრამ სენაკელებმა სურვილით კი ისურვეს, მხოლოდ საქმეს ვერ გაუძღვნენ. აქაური კორესპონდეტების (ბბ. ტრ. კალშვილი, ტელეფონი და სხვ.) იერემიასებურმა გოდებამ, მიმართულმა სენაკელებისადმი, ვერ იმოქმედა და მათი სამართლიანი გოდება დარჩა მხოლოდ ,,ხმად მღაღადებელისად უდაბნოსა შინა‘‘. დროა, დრო გამოფხიზლდეთ, ბატონებო, კმარა ძილი! არ იუცხოვოთ ყველა ზემოდ თქმული, ბ-ნნო დეპუტატნო, ლამპარნო და მარილნო სენაკისანო! ჯერეთ კი ეს იყოს, მით უფრო, რომ ,,კარგი რამ გპირდესთ, გიკვირდესთ, ავი რასაკვირველია?‘‘

ფასტიოლლი.

სამეურნეო ცნობანი

—

ხარების მოჭკვიანება. ყველაზედ ადვილი საშუალება ხარების მოსაჭკვიანებლად შემდეგია: გიჟ, ან გამოუქნელ ხარს უნდა მიაკრათ შუბლზედ რქებიდგან ფიცარი ისე, რომ ფიცარი თვალებსა ფარავდეს. ამ შემთხვევაში ხარი ძირს იყურება, რის გამოც მალე ჭკვიანდება და იხეშება. ხარი რომ მოიშლის თავის სიგიჟეს, უნდა ჩამოაცალოთ ფიცარი, თორემ დიდი ხნის ტარებით სუსტდება და მალა ეცლება.

თეატრის მატიანე

დ. ყვირილა. ქართული წარმოდგენა. აქაური სცენის მოყვარეთაგან საქველმოქმედო მიზნით, კვირას, 27 ივლისს ქართული წარმოდგენა იყო გამართული ერთი ახალგაზრდა ყმაწვილის სასარგებლოთ, რომელმაც დაასრულა წელს ქუთაისის გიმნაზია და მიემგზავრება რუსეთში სწავლის გასაგრძელებლათ. წარმოდგენილი იყო: «უჩინ მაჩინის ქუდი» გ. ერისთავისა, „არც აქეთ, არც იქით‘‘ და ,,ჩათრევას ჩაყოლა სჯობიან‘‘ გალ. გუნიასი და მეოთხე მოქმედება დრამიდან ,,ქართველი დედა‘‘ ა. ცაგარლისა. წარმოდგენამ რაც შეიძლება მწყობრად ჩაიარა, საზოგადოება ბლომად დაესწრო და ნასიამოვნებიც დარჩა. წმინდა შემოსავალი დარჩა 49 მან. დიდი მადლობის ღირსნი არიან ქალბატონნი: მ. სისორდიასი, ს. საყვარელიძისა, ბ-ნნი ნ. სისორდია. ვ. ჟღენტი და ტ. ჟ. ი. რომელთაც აღმოუჩინეს დახმარება ამ წარმოდგენის გამართვას მონაწილეობის მიღებით და ბილეთების გაყიდვით; აგრეთვე მადლობის ღირსნი არიან ბ-ნნი: კ. მოდებაძე, გ. ჟ—ტი, ა. ს—ძე, ვ. არ—შვილი და ა. არაბიძე, რომელთაც მიიღეს მონაწილეობა წარმოდგენაში. წარმოდგენის დასასრულ ლეკური იყო გამართული, რამაც ყველა ასიამოვნა. ამასთანავე უადგილო არ იქნება მოვიხსენიოთ, რომ დ. ყვირილაში გაკეთდა მუდმივი სცენა ალ. არაბიძის სახლში, სადაც შეეძლებათ მსურველთ მოსვლა და წარმოდგენის გამართვა. ჯერ თუმცა სცენა არ არის კარგად მოწყობილი, მაგრამ, იმედია, საქმეს მალე მოაგვარებენ დამაარსებლები.

საზოგადოდ წარმოდგენებს ჩვენში ხალხი სიამოვნებით ესწრობა, მაგრამ უბედურება ის არის, რომ ნება-რთვის აღება გვიჭირებს საქმეს. ყოველთვის ბ-ნ გუბერნატორს უნდა მივმართოთ ხოლმე და ეს, მოგეხსენებათ, მეტად ძნელია და ხშირად შეუძლებელიც. თუ კი სხვა ადგილებში მაზრის უფროსები იძლევიან ნება-რთვას, რადა ჩვენზე ასეთი კანონების შემოღება.

დასასრულ, ვურჩევთ სცენის მოყვარეთ, უფრო მეტი მეცადინეობა და სიფხიზლე გამოიჩინონ, როლების შესწავლაში, თორემ, რაც გინდა სასიამოვნო და სასარგებლო იყოს საქმე, ხალხი გულს აიცრუებს და ისე ადვილად მოშორდება წარმოდგენებს, როგორც ეხლა ადვილად დაიარება.

ურჩი-თავისუფალი.

სამეცნიერო ცნობა

—

სიფილისის ბაცილა. დღემდის ყველასთვის გამოურკვეველი იყო კითხვა — რა არის გამომწვევი და გამავრცელებელი მიზეზი ამ საძაგელი სენისა. ამ მოკლე ხანში ნემეცურ გაზეთებში ფრიად საყურადღებო ცნობა იყო გამოაშკარავებული: პროფესორ პაულ დელემ ერთი წლის გამოცდილების შემდეგ აღმოაჩინა სიფილისის ბაცილა, რომელიც მიზეზია ავადმყოფობის გამწვავებისა. ეს ბაცილები სცადეს ზღვის ღორებზედ, ე. ი. ბაცილები შეურიეს სისხლში და ისეთივე ავადმყოფების ნიშნები გამოაჩინეს ღორებმა, როგორსაც იჩენენ სიფილისიანი ავადმყოფი ადამიანები. პროფ. დელე პირდება საზოგადოებას, რომ ის მალე შეატყობინებს მედიკურ ფაკულტეტს თავის დაკვირვებების ნაყოფს.

განცხადებანი

მასწავლებელ ქალთა საზოგადოების სკოლა

დაიწყება ორივე სქესის მოწაფეთა მიღება 25 აგვისტოდან.

სკოლაში ორი განყოფილებაა (ქართული და სომხური) იმ მოწაფეთათვის, რომელთაც რუსული არ ესმისთ და სამი განყოფილებაც რუსული.

სკოლა გადავიდა ახალს სადგურში

ნაგორნისა და გუდოვიჩის ქუჩების ყურში, საგარდ პოსერბსკის სახლში, № 12.

სწავლა დაიწყება 1 სექტემბერს.

(6—1)

დიდის ხნის სურვილი გამიხორციელდა და საკუთარი ჟურნალის გამოცემის ნება-რთვა მივიღე და ამ 1897 წლის პირველ ენკენისთვიდან, ყოველ თვე და თვე, გამოვა

„კრებული“

სამი განყოფილებით: 1-ში იქნება ახალი ჯერ დაუბეჭდელი, ყოველგვარი ჩემი თხზულებათაგანი, 2-ში ჩემი თავ-გადასავალი, ანუ ნახული და გაგონილი, ჩვენის ქვეყნისა და ცხოვრების შესახები—შიგა და შიგ ჩართული იქნება ხელ-ახლა ყოველისფერი, რაც-კი ამ ორმოცი წლის განმავლობაში მიწერია,—საჭირო შენიშვნებითა და განმარტებით... 3-ში ზეპირ-გარდმოცემა, ხალხური პოეზია, ე. ი. შაირები, ზღაპრები, ძველი ამბები, ანდაზები, არაკები, გამოცანები, შელოცვები და სხვანი.

რადგანაც ამ უკანასკნელს მეტს მნიშვნელობას ვაძლევთ სხვა ყოველისფერზე, ამისათვის ყველასა ვსთხოვთ, რომ შემწეობა აღმოგვიჩინონ ამ დიდ საქმეში.

საზოგადოდ ხალხურ პოეზიაზე და მისს შეკრების შესახებ ვრცელი სტატია იქნება პირველ ნომერშივე.

წელიწადში გამოვა თორმეტი წიგნი და ეღირება ტფილისში მცხოვრებთათვის **6** მან., ხოლო ქალაქ გარეთ გაგზავნით **7** მან. წელიწადში; ნახევარ წლით-კი **4** მან.

ხელის მოწერა მიიღება

ტფილისში: ,,წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების‘‘ წიგნის მაღაზიაში შიო ქუჩუკაშვილთან (სათავად-აზნაურო ქარვასლაში). ელენე ანტონოვსკისთან—ბიბლიოთეკაში.

იოსებ მერკვილაძის მაღაზიაში (ლორის-მელიქოვის ქუჩა, ზუბალოვის სახ. № 4) და ტფილისის ამხანაგობის ,,შუამავალის‘‘ მაღაზიაში.

ამას გარდა სხვა დაბა-ქალაქებშიაც გვეყოლება აგენტები, რომელთაც ექნებათ დაბეჭდილი და ჩვენი ხელ-მოწერილი ბარათები.

(40—22) ,,კრებულის‘‘ რედაქტორი **აკაკი.**

ბუღალტერიის შესწავლა

ვისაც საფუძვლიანათ ჰსურს შეისწავლოს

სრული კურსი ბუღალტერიისა **სამის თვის** განმავლობაში, შეუძლიან მიჰმართოს ტფილისის საურთიერთო სამეურნეო ბანკში უფროსს ბუღალტერს **ი. ია. ბრონ ფონ-ბრენერს.**

ფასი მთელის ბუღალტერიის საფუძვლიანათ შესწავლისა **60 მან.**

КУРСЪ БУХГАЛТЕРІИ.

состоящій изъ слѣдующихъ предметовъ:

1) **Бухгалтеріи** двойной итальянской по разнымъ отраслямъ торговой промышленности.

2) **Коммерческой ариѳметики** (банковыя и торговыя операціи,)

3) **Арифметики на счетахъ,**

4) **Коммерческой экономіи,**

5) **Торговыхъ и вексельныхъ** узаконеній, —преподаетъ И. Я. БРОНЪ ФОНЪ-БРЕННЕРЪ, гл. бухгалтеръ Тифл. общ. взаим. сел.-хоз. кредита и препод. **школы садоводства.**

ПЛАТА ЗА ВЕСЬ КУРСЪ 60 РУБ.

Курсъ 3-мѣсячный, при ежедневныхъ занятіяхъ, въ теченіе 2-хъ часовъ, по вечерамъ. Начало занятій—1-е числа каждаго мѣсяца. **АТТЕСТАТЫ за успѣшныя занятія отъ реальнаго училища и школы садоводства.**

Составленная И. Я. Бронъ Фонъ-Бренеръ книга «Коммерческая ариѳметика» содержитъ въ себѣ VII отдѣловъ: 1) ариѳметич. вычисленія на счетахъ, 2) монетныя вычисленія, 3) товарныя сдѣлки, 4) вексельныя операціи, 5) торговыя товарищества, 6) банки и ихъ операціи, 7) биржевыя операціи (520 задачъ и таблицы). Цѣна 2 руб. **Продается во всѣхъ книжныхъ магазинахъ и у автора: Михайловская ул., д. № 71, и Барятинская, сельско-хоз. банкъ.**

(100—54)

Дозволено цензурою. Тифлисъ, 30 Іюля 1897 г. სტამბა ქ. ი. ხელაძისა, ლორის-მელიქოვის ქ., № 28. რედაქტორ-გამომცემელი **ვალ. გუნია.**